

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
გიორგი ახვლედიანის სახელობის
ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი

სტუდენტური სამეცნიერო

კონფერენცია

პროგრამა და თეზისები

17 აპრილი

2025

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

დარეჯან თვალთვაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

გიორგი ალიბეგაშვილი – სახელმწიფო ენის დეპარტამენტის უფროსი, ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ნაირა ბეპიევი – გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება

ეკატერინე ნავროზაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი

თინათინ ბოლქვაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

დარეჯან გარდავაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი

ნინო პოპიაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი (კონფერენციის თავმჯდომარე)

კახი ახვლედიანი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

გვანცა ძმანაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

რეგლამენტი:

მოსხენება – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენა – ქართული

პროგრამა

ხუთშაბათი, 17 აპრილი

მონაწილეთა რეგისტრაცია

09.30 – 10.00

10.00

კონფერენციის გახსნა

თსუ I კორპუსი, აუდიტორია 107

მისალმებები

ჯაბა სამუშია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი,
აკადემიკოსი

დარეჯან თვალთვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

გიორგი ალიბეგაშვილი

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის უფროსი,
ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

პირველი სექცია

სხდომის თავმჯდომარე –
ასოცირებული პროფესორი **მაია ლომია**

10.30 – 13.00

თსუ I კორპუსი, აუდიტორია 202

კახი ახვლედიანი

1978 წლის მაისი-ივნისი – სოხუმის მოვლენები

ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი **ნიკოლოზ ჯავახიშვილი**

ნინო ნაწიფაშვილი

**1978 წლის 14 აპრილი (საბჭოთა ენობრივი პოლიტიკა
და საზოგადოებრივი ხედვები)**

ხელმძღვანელი:

ასისტენტ-პროფესორი **მიხეილ ქართველიშვილი**

ლაშა კაპანაძე

ერთთემიან ზმნათა უღლების თავისებურებანი

ზემოიმერულში

ხელმძღვანელი: პროფესორი **გიორგი გოგოლაშვილი**

მარიამ თხინვალელი

მიმღეობის გადმოტანა მიქეას წინასწარმეტყველების

ძველი ქართული და ელინოფილური თარგმანების

მიხედვით

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი **ანა ხარანაული**

ელენე თამაზაშვილი

სიკვდილ-სიცოცხლის სემანტიკა ლექსებში „მზის“ შემცველ ქართულ ხატოვან გამოთქმებში

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაია ლომია

ლიზა ქავთარაძე

ილია ჭავჭავაძე და ქართული ენის თეორიულ-პრაქტიკული საკითხები

ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი ქეთევან მარგიანი

ნინო ვეფხვაძე, ბარბარე კაკაშვილი

უცხოური სიტყვების გავლენა თანამედროვე ქართულზე

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი თამარ ხვედელიძე

ნათია სიბაშვილი, ანი ავალიშვილი

ქართული სალიტერატურო ენის წარმოშობა და განვითარება

ხელმძღვანელი: დოქტორანტი სოფიო პაპიაშვილი

ზინაიდა კურლინიანი

ქართული, როგორც მეორე ენა (რა გამოწვევების წინაშე დგანან სომეხი სტუდენტები ქართული ენის შესწავლისას)

ხელმძღვანელი: დოქტორანტი ირინა ნოზაძე

შესვენება

13.00 – 14.00

მეორე სემინარი

**სხდომის თავმჯდომარე –
ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი**

14.00 – 17.00

თსუ I კორპუსი, აუდიტორია 107

გვანცა ძმანაშვილი

**მარტვილობის ჟანრის ჩასახვისა და განვითარების
ტენდენციები**

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი

ანასტასია ასათიანი

ნათარგმნი ჰაგიოგრაფია და მისი განვითარების ეტაპები

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი

ქრისტინე ხობელია

**განდეგილობის ფენომენი „ნმინდა გრიგოლ ხანძთელის
ცხოვრებაში“: ასკეტიზმი და სულიერი სრულყოფილება**

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ია გრიგალაშვილი

მეგი პაპავა

**„ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმების ეკვივალენტობის საკითხი
პოემის ინგლისურ თარგმანებში**

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი გიორგი ჯღარკავა

ნინო ქვარაია, თამარ გაბრავა

რეალისტი მწერლების როლი ქართული ენის განვითარებაში

ხელმძღვანელი: დოქტორანტი სოფიო პაპიაშვილი

ნიკოლოზ შათირიშვილი, მარიამ მჭედლიძე

ქართული ავანგარდიზმი „ცისფერყანწელთა“

და „H₂SO₄“-ის მაგალითზე

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ლევან გელაშვილი

თეონა ქარჩავა

ალბერ კამიუს „ბედნიერი სიკვდილი“ – მთავარი

ფილოსოფიური ასპექტები

ხელმძღვანელი:

ფილოსოფიის დოქტორი ქეთევან ცხვარიაშვილი

ია შანთაძე

მარტოობა ედგარ ალან პოს შემოქმედებაში

ხელმძღვანელი:

ამერიკისმცოდნეობის დოქტორი სოფიკო გელიაშვილი

ლიკა ყაფლანიშვილი, ილონა კირაკოსიანი

მასწავლებლის როლი ინგლისური ენის გაკვეთილის

დაგეგმვისა და მოსწავლეთა მოტივაციის პროცესში

საქართველოს კონტექსტი

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ქეთევან გოჩიტაშვილი

შესვენება

13.00 – 14.00

მესამე სექცია

**სხდომის თავმჯდომარე –
ასოცირებული პროფესორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი**

14.00 – 17.00

თსუ I კორპუსი, აუდიტორია 202

გიორგი თხილაიშვილი

**ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკა ფარნავაზის
მმართველობისას**

ხელმძღვანელი:

ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე ბოშიშვილი

ნიკოლოზ ძიმისტარიშვილი

**გიორგი I-ის ბრძოლა დავით კურაპალატის
მემკვიდრეობისათვის**

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მიხეილ ბახტაძე

ლაშა სულაქველიძე

ბრძოლა ბათუმისთვის: 1921 წლის მარტის მოვლენები

ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი

დიმიტრი ღონლაძე

**ქართლის მეფე ლუარსაბ I-ის იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის
ასულ თამარზე ქორწინების პოლიტიკური ასპექტები**

ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი

ნინო ინდუაშვილი

**ქალაქი ალი – უძველესი საბაჟო პუნქტი ფეოდალური ხანის
საქართველოში**

ხელმძღვანელი:

ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე ბოშიშვილი

თეზისები

ანასტასია ასათიანი

ნათარგმნი ჰაგიოგრაფია და მისი განვითარების ეტაპები

საქართველოში მთარგმნელობითი საქმიანობა ისტორიულად განპირობებული იყო კულტურული და რელიგიური საჭიროებით. ახალ რელიგიას სჭირდებოდა დასაყრდენი ცოდნის სახით, რაც ქმნიდა ნათარგმნი ლიტერატურის არსებობის აუცილებლობას. ამ გარემოებამ კი ხელი შეუწყო მთარგმნელობითი საქმიანობის გაჩაღებას, შემდგომში კი – განვითარებას.

ქრისტიანობის გავრცელებამ ქართულ მთარგმნელობით პროცესს განუსაზღვრა მიმართულება. ნათარგმნი ლიტერატურის შექმნის მიზეზს ამ რელიგიის უკეთ გაცნობა წარმოადგენდა. აუცილებელი იყო ტექსტები მშობლიურ ენაზე, რათა ქადაგება მრევლისთვის საინტერესო და მოსასმენად ადვილი ყოფილიყო. ნათარგმნი ლიტერატურა განიცდიდა გადაკეთება-გადამუშავების პროცესს და ამ გზით უერთდებოდა ქართულ ლიტერატურულ ნაკადს. ამ მხრივ საინტერესოა პატროლოგიური შრომები, ეკლესიის „მამათა და მოძღუართა“ თხზულებანი. ლიტურგიკულ-კანონიკური შრომები, რომლებშიც მოცემულია ღვთისმსახურების „ნესი“ და საეკლესიო კანონმდებლობის კოდექსი. პოლემიკური ხასიათის შრომები, რომლებიც მიმართულია როგორც წარმართული და მაჰმადიანური რელიგიის, ისე ქრისტიანობაში აღმოცენებული სხვადასხვა სექტის წინააღმდეგ.

მოხსენებაში ვისაუბრებთ ნათარგმნი ჰაგიოგრაფიის თავისებურებებზე, ქართულ მთარგმნელობით სკოლებზე, ნათარგმნი ჰაგიოგრაფიის მნიშვნელობაზე ქართული ლიტერატურის ჟანრების განვითარების თვალსაზრისით.

კახი ახვლედიანი

1978 წლის მაისი-ივნისი – სოხუმის მოვლენები

1977 წლის 7 ოქტომბერს სსრკ-ის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი კონსტიტუცია. ეს იმას ნიშნავდა, რომ ძირითადი კანონი უნდა მიეღო თხუთმეტივე რესპუბლიკას და მათში შემავალ ავტონომიებს. საქართველოში კონსტიტუციის მიღებას მრავალათასიანი დემონსტრაციები მოჰყვა. მოხსენებაში შევეხები 1978 წლის მაის-ივნისში აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში განვითარებულ მოვლენებს, რადგან საინტერესოა, თბილისისა და ბათუმისგან განსხვავებით, რა პროცესები მიმდინარეობდა სოხუმში.

აფხაზეთში აქციების ახალი ტალღა 1978 წლის 17 მაისიდან, კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებიდან, იწყება, თუმცა, თბილისისა და ბათუმისგან განსხვავებით, აქციებზე სრულიად საწინააღმდეგო მოთხოვნები გაისმოდა, მომიტინგეების ერთ-ერთი მოთხოვნა 70-ე მუხლიდან ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, ამოღება იყო, ისინი ასევე ავტონომიური რესპუბლიკებისთვის მოკავშირე რესპუბლიკიდან გასვლის უფლებას ითხოვდნენ. მიუხედავად ასეთი არარეალისტური მოთხოვნებისა, ამ აქციებს არ მოჰყოლია რაიმე კონტრაქცია, ეს არ გადასულა ეროვნულ შუღლში და არ გასცდენია ქართველთა მხრიდან აკადემიურ სივრცეებში გამოხატულ პროტესტის ფორმებს.

ნინო ვეფხვაძე

ბარბარე კაკაშვილი

უცხოური სიტყვების გავლენა თანამედროვე ქართულზე

უცხოური სიტყვებისა და „სლენგების“ გავრცელებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქართულ სალიტერატურო ენაზე, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება თანამედროვე მწერლების მიერ გამოყენებულ ტერმინოლოგიაში. კვლევები მოწმობს, რომ უცხოური სიტყვები და „სლენგები“ ცვლის ქართულ სალიტერატურო ენას, შესაბამისად, აღინიშნება ენის მორფოლოგიური და სინტაქსური ცვლილებები.

მოხსენების მიზანია, ვაჩვენოთ, როგორ ცვლის გლობალიზაცია და ციფრული ტექნოლოგიები თანამედროვე ქართულ ენას და რა როლს ასრულებს უცხო სიტყვები და სლენგები მის ჩამოყალიბებასა და ფორმირებაში.

ენის ცვლილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მიგრაციაა, რომელიც სხვადასხვა ენაში ბარბარიზმების გავრცელებას უწყობს ხელს. ამასთანავე, ქართულ სიტყვებში უცხო სიტყვების დამკვიდრება სხვადასხვა დამპყრობლის შემოსევამაც გამოიწვია.

როგორც ვიცით, უცხო სიტყვები ქართულ ენაში სხვადასხვა გზით შემოდის, ზოგიჯერ ეს სიტყვები ენის განვითარებას უწყობს ხელს, მაგრამ ხშირად ისინი ქართულ ტერმინებს ანაცვლებენ. მაგალითად, ინგლისური ენიდან შემოვიდა სიტყვა „ლაივი“ live – პირდაპირი ეთერი. საზოგადოების ნაწილი იყენებს სიტყვა „ლაივს“ და არა პირდაპირ ეთერს. რაც, ერთი მხრივ, ადასტურებს ზემოთ მოყვანილ დებულებებს. ამის კიდევ ერთი

მაგალითია „სკრინი“ **screen** – ეკრანის ანაბეჭდი, მაგრამ სოციალური იყენებს სკრინს და არა ეკრანის ანაბეჭდს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტექნოლოგიური წინსვლა თანამედროვე ქართულში უამრავ ახალ სიტყვას ამკვიდრებს. ახალი ტერმინები კი ინგლისურიდან პირდაპირ შემოდის და ქართულ ალტერნატივებს ანაცვლებს.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ უცხო სიტყვებისა თუ სლენგების შემოსვლას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

უარყოფით მხარედ მიიჩნევა ის, რომ საზოგადოებას ხშირად ავიწყდება ქართული ტერმინები, ეს ყოველივე იწვევს გრამატიკული ნორმებისა და ენის სტრუქტურის დარღვევას. ხოლო დადებით მხარედ შეგვიძლია მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ენა მდიდრდება ნასესხები სიტყვებით, უცხოური სიტყვები ამარტივებს საერთაშორისო კომუნიკაციას. უცხოური სიტყვების გავლენა თანამედროვე ქართულზე გარდაუვალი პროცესია. აუცილებელია ბალანსის დაცვა, თანამედროვე ტერმინების გადმოღება ისე, რომ ქართული ენის უნიკალურობა და სტრუქტურა არ დაიკარგოს.

ელენე თამაზაშვილი

სიკვდილ-სიცოცხლის სემანტიკა ლექსემა „მზის“ შემცველ ქართულ ხატოვან გამოთქმებში

ზეპირსიტყვიერი მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძველად, წარმართობის ხანაში, ქართველები ასტრალურ ღვთაებებს ეთაყვანებოდნენ, რომელთა შორის განსაკუთ-

რებული ადგილი ეკავა მზეს. ლექსემა „მზის“ მონაწილეობით შექმნილ ხატოვან გამოთქმებში ჩანს, რომ ქართულ ენაში მზეს უკავშირდება მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი.

ლექსემა „მზის“ შემცველი სიკვდილ-სიცოცხლის სემანტიკის ანტონიმური შესიტყვებებია: *შენმა მზემ, შენს მზეს ვფიცავ, მზე დაუბნელდა, მზე ჩაესვენა, წითელი მზე* და სხვ. დამონმებული ფრაზებს პარალელები ეძებნება მწერლის ენაშიც: „ვეფხისტყაოსანში“, ვაჟას პოემებში და სხვ. ყურადღებამისაქცევია ისიც, რომ უარყოფითი კონოტაციის (სიკვდილის სემანტიკის) ხატოვანი გამოთქმები რაოდენობრივად ჭარბობს დადებითს (სიცოცხლის სემანტიკისას); ამგვარ ენობრივ ასიმეტრიას ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს.

მოხსენების მიზანია, ლექსემა „მზის“ შემცველ ქართულ ხატოვან გამოთქმებში სიცოცხლისა და სიკვდილის სემანტიკის გამოკვეთა. ემპირიული მასალა აღებულია თედო სახოკიას მიერ შედგენილი ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმების ლექსიკონიდან (ტ. III, 1954, თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“). როგორც ჩანს, ჩვენმა წინაპრებმა მზე და სიცოცხლე სინონიმური მნიშვნელობის ლექსემებად გაიაზრეს ჯერ კიდევ მაშინ, როცა მზე გაათანაბრეს მდედრთან – სიცოცხლის საწყისთან (იხ. მეგრული ლექსის ქართული ვერსია: *მზე დედაა ჩემი, შდრ.: „ბჟა – დიაჩქიმი“*; ან კიდევ: *„მზე დანვა და მთვარე შობა“* (ქართული ხალხური პოეზიიდან).

გიორგი თხილაიშვილი

ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკა ფარნავაზის მმართველობისას

ძვ.წ. IV საუკუნე მსოფლიოში ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლით და ერთმანეთთან დაპირისპირებული სადიადოქოსოების წარმოქმნით, ხოლო ქართლის ტერიტორიაზე აზოს ჩამოგდებით, რომელიც წარმოშობით „არიან ქართლიდან“ იყო, და ფარნავაზის სამეფო ტახტზე ასვლით აღინიშნება. ახლად შექმნილ სახელმწიფოში ფარნავაზმა ქვეყნის საგარეო კურსი სელევკიდების სამეფოსკენ მიმართა, ამის მიზეზი კი აზოს პონტოს სამეფოსთან სიახლოვე გახდა.

ფარნავაზის საგარეო პოლიტიკურ არჩევანს დიდ მნიშვნელობა ჰქონდა ახლად ჩამოყალიბებული ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის, რადგან ქართლზე პირდაპირ პროპორციულად აისახებოდა იმ ქვეყანაში შექმნილი მდომარეობა, რომლის დომენიც თავად გახდებოდა. ფარნავაზმა მთავარ მოკავშირედ სელევკიდების სამეფო აირჩია, რომელსაც იმ პერიოდში ანტიოქოსი მართავდა.

ამის მთავარი მიზეზი იყო სელევკიდების სამეფოს ინტერესები მცირე აზიის ტერიტორიაზე, სადაც მდებარეობდა პონტოს სახელმწიფო, რომელიც აზოს უმაგრებდა ზურგს. ფარნავაზი სელევკიდებს აზოში საერთო მტრის ხატს უქმნის და ამით ააქტიურებს ანტიოქოსის ინტერესს მისდამი.

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვან მოკავშირეს აზოს წინააღმდეგ ფარნავაზი პოულობს ეგრისის მთავრის – ქუჯის სახით. ეგრისის სამეფოს აზო თავისი მმართველობის პერიოდისას ავინრობდა, ამიტომაც ქუჯისთვის მისაღები იქნებოდა ქართლში ფარნავაზის გამეფება.

რამდენად სწორი ნაბიჯები გადადგა ფარნავაზმა მოკავშირეების ძიებისას? იყო თუ არა რეალურად საკმარისი ის სამხედრო ძალა აზოს დასამარცხებლად, რომელიც მან შეკრიბა? რა გამოწვევებს შეხვდებოდა იმ პერიოდის ქართლი?

შეიძლება ითქვას, რომ ფარნავაზის გადანაცვეტილებების სისწორე მოვლენების განვითარების შედეგშიც აისახა, როცა მან აზო დაამარცხა და მცხეთაში თავად გამეფდა. ფარნავაზმა დააარსა სახელმწიფო, რომელიც პროსელევეკიდურ დინასტიას ატარებდა და სამეფო რეგალიებსაც მისგან იღებდა. სწორედ ეს ფაქტები გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ფარნავაზმა ქართლის საგარეო პოლიტიკა სწორად წარმართა და არსებულ გამოწვევებს თავი სრულფასოვნად გაართვა. მოხსენების მიზანია, ქართულ ისტორიულ წყაროებსა და ისტორიოგრაფიაში არსებულ მასალებზე დაყრდნობით, კიდევ ერთხელ გადავხედოთ და გავაანალიზოთ ფარნავაზის საგარეო პოლიტიკა.

მარიამ თხინვალელი

მიმღეობის გადმოტანა მიქეას წინასწარმეტყველების ძველი ქართული და ელინოფილური თარგმანების მიხედვით

ბიბლიის ძველი ქართველი და ელინოფილი მთარგმნელები მნიშვნელოვანი ამოცანის წინაშე იდგნენ: ქართულ თარგმანში მათ ფორმალურად და სემანტიკურად ზუსტად უნდა აესახათ ბერძნული დედანი. რამდენადაც რთული იყო ამ მიზნის მიღწევა, იმდენად ნაყოფიერი აღმოჩნდა ენისათვის, რადგან თარგმანი ერთგვარი საშუალებაა ენაში დაფარული პოტენციალის აღმოჩენისა და გააქტიურებისთვის.

მთარგმნელთათვის ბერძნული მიმღეობური კონსტრუქციების გადმოტანა ერთ-ერთი გამოწვევა უნდა ყოფილიყო. საზოგადოდ, მისი გადმოღების რამდენიმე საშუალება არსებობს: გადმოცემულია მიმღეობითვე ან დამოკიდებული წინადადებით – პარატაქსით ან ჰიპოტაქსით. საკითხს განვიხილავთ მცირე წინასწარმეტყველთა ქართული თარგმანების მაგალითზე. ძველი თარგმანი დაცულია ბიბლიის ოშკურ (Ath. 1, 978) და იერუსალიმურ (Jer. Geo. 7/11, XI ს.) ნუსხებსა და ლიტურგიკულ კრებულებში (ლექციონარებსა და საწინასწარმეტყველოებში). ელინოფილურ პერიოდში კი ორი განსხვავებული თარგმანი შესრულდა. ისინი წარმოდგენილია გელათის ბიბლიასა (A – 1108, გელათის კატენებიანი ბიბლია) და K-1 მეტაფრასულ კრებულში. ამ ეტაპზე მასალად შერჩეულია მიქეას წინასწარმეტყველების I-IV თავები.

გვანტერესებს:

- ა) რა ეკვივალენტები შეესაბამება ბერძნულის სხვადასხვა გრამატიკული ფორმისა და ფუნქციის პარტიციპიუმებს მიქეას წინასწარმეტყველების ძველ ქართულ და ელინოფილურ თარგმანებში;
- ბ) ამ თვალსაზრისით ვლინდება თუ არა რაიმე ტენდენცია და რა არის ამ ტენდენციების მიზეზები: თარგმანის მეთოდი თუ ენის შესაძლებლობა;
- გ) ქართულ თარგმანებში მთავარი წინადადების ზმნა რა ფორმით მართავს სახელს დამოკიდებულ და არადამოკიდებულ წინადადებაში და როგორ შეესაბამება ეს ბერძნულს; გრამატიკული, სემანტიკური და სტატისტიკური ანალიზის შედეგად შევეცდებით, პასუხი გავცეთ ამ კითხვებს.

ნინო ინდუაშვილი

ქალაქი ალი – უძველესი საბაჟო პუნქტი ფეოდალური ხანის საქართველოში

საბაჟო, ათასწლეულების განმავლობაში, პირველი სახელმწიფოების აღმოცენებისა და ბიბლიური დროიდან, სახელმწიფოს თვითმყოფადობის, ეკონომიკური სიძლიერისა და დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია. საბაჟო საქმე არც ფეოდალური საქართველოსთვის ყოფილა უცხო, რასაც ჩვენამდე მოღწეული ქართული და უცხოური წყაროები ადასტურებს. ბაჟი ფეოდალური საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა.

საბაჟო საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის საქმეში ძირითად როლს ქალაქები და სავაჭრო ცენტრები ასრულებდა. საქართველოს სამეფოს ძლიერების ხანაში მცირე დასახლებები ქალაქებად ჩამოყალიბდა. ახლად დაწინაურებულ ქალაქებს შორის ერთ-ერთი იყო ქალაქი ალი, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ გზაზე მდებარეობდა, რამაც თავიდანვე მნიშვნელოვანი როლი დააკისრა იმდროინდელ სავაჭრო-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

XVII საუკუნის ფრანგი მოგზაური, ჟან შარდენი, ქალაქ ალის იმერეთსა და ქართლს შორის კარიბჭეს უწოდებს. შარდენისავე ცნობით, ქალაქ ალიში მონყობილი იყო საბაჟო პუნქტი, სადაც, ბუნებრივია, აქტიურად მიმდინარეობდა პროდუქციის ყიდვა-გაყიდვა. ქართველების, ადგილობრივი სომხებისა თუ ებრაელების გარდა, ალის სავაჭრო არტერიას უცხო ქვეყნებიდან შემოსული ვაჭრებიც სტუმრობდნენ.

შუა საუკუნეების საქართველოს და ზოგადად რეგიონის ეკონომიკურ ცხოვრებაში ალის მნიშვნელობაზე მიგვითითებს აქ აღმოჩენილი განძეული, რომელიც საისტორიო მეცნიერებაში ალის განძის სახელწოდებითაა ცნობილი. მათ შორის გამოჩეულია ალის ციხის მიდამოებში, ნამოსახლარზე, ნაპოვნი ჩინური მონეტა, რომელიც ერთადერთია საქართველოში.

ნარატიული წყაროებისა და სიგელ-გუჯრების შესწავლის შედეგად მოხსენებაში წარმოდგენილია ფეოდალური ხანის საქართველოში საბაჟოს აღმნიშვნელი ტერმინების რაობა, ქალაქების მნიშვნელობა საბაჟო სისტემის განვითარების საქმეში და ძველი ქართული ქალაქის – ალის როლი ახლოაღმოსავლურ-ქართულ სავაჭრო-ეკონომიკურ სისტემაში.

ლაშა კაპანაძე

ერთთემიან ზმნათა უღლების თავისებურებანი ზემოიმერულში

აკაკი შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ გამოყოფს ერთთემიან ზმნებს (40-მდე ერთეულს). შენიშნავს, რომ ერთთემიანი ზმნები გაორთემიანების ტენდენციას იჩენს: *თეს-ს*“ *თეს-ავ-ს*, *რეკ-ს*“ *რეკ-ავ-ს*...

ერთთემიან ზმნათა გაორთემიანების პროცესი არაერთგვაროვნად განვითარდა ქართული ენის დიალექტებში: აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში პროცესი შენელებულია, სხვაგან – დაჩქარებული.

ზემოიმერულ მეტყველებაში ამ მხრივ ვითარება განსხვავებულია: სალიტერატურო ენასთან მიმართებით (ვემყარებით

„ორთოგრაფიული ლექსიკონის“ მონაცემებს) პროცესი წინაა
ნასული. თავს იჩენს შემდეგი თავისებურება: გაორთემაინების
პროცესი არ მოიცავს I სერიის ყველა მწკრივს: ზმნები **-ავ** თე-
მის ნიშანს დაირთავენ ანმყოში, არ გადაჰყვებათ უწყვეტელში
(შესაბამისად, არც I კავშირებითში): (და-)თეს-ავ-ს – (და-)თეს-
დ-ა, (და-)რეკ-ავ-ს – (და-)რეკ-დ-ა... ფაქტობრივ ამ პარადიგმებ-
ში დარღვეულია საუღლებელი ფუძის პრინციპი.

ამ წინააღმდეგობის დასაძლევად ზემოიმერულში სამი გზა
გამოინახა:

- 1) უწყვეტელში გაჩნდა **-ავ** თემისნიშნიანი ვარიანტი (ახალი
ქართულისათვის დამახასიათებელი): (და-)თეს-ავ-ს – (და-)
თეს-ავ-დ-ა, (და-)რეკ-ავ-ს – (და-)რეკ-ავ-დ-ა...;
- 2) უწყვეტელში გამოიყენა ზემოიმერულისთვის დამახასია-
თებელი რთული -ევ-დ დაბოლოებიანი არქაული ვარიანტი:
(და-)თეს-ავ-ს – (და-)თეს-ევ-დ-ა, (და-)რეკ-ავ-ს – (და-)რეკ-
ევ-დ-ა... (ევ-დ III პირშიც დასტურდება, რაც, თავის მხრივ,
ინოვაციაა. თუმცა ანმყო-უწყვეტელში არსებული სხვაობა
(და-)თეს-ავ-ს / (და-)თეს-ევ-დ-ა) ამით მაინც ვერ მოიხსნა);
- 3) ანმყოში, უწყვეტელის მსგავსად, დაირთო **-ევ** დაბოლოება:
(და-)თეს-ევ-ს – (და-)თეს-ევ-დ-ა, (და-)რეკ-ევ-ს – (და-)რეკ-
ევ-დ-ა...

ამდენად, ზემოიმერულში ისტორიულ ერთთემიან ზმნათა
გაორთემაინების შემთხვევაში პირველ სერიაში დასტურდება
ოთხი ტიპის პარადიგმა:

- 1) ანმყო: **-ავ** დაბოლოებით (და-)თეს-ავ-ს
უწყვ.: **-0-დ** დაბოლოებით (და-)თეს-დ-ა
- 2) ანმყო: **-ავ** დაბოლოებით (და-)თეს-ავ-ს
უწყვ.: **-ავ-დ** დაბოლოებით (და-)თეს-ავ-დ-ა

- 3) ანმყო: -ავ დაბოლოებით (და-)თეს-ავ-ს
უნყევ.: -ევ-დ დაბოლოებით (და-)თეს-ევ-და
- 4) ანმყო: -ევ დაბოლოებით (და-)თეს-ევ-ს
უნყევ.: -ევ-დ დაბოლოებით (და-)თეს-ევ-დ-

ვითარების ნაირგვარობა მიუთითებს, რომ გაეორთემიანების პროცესი ზემოთხსენებულ დიალექტში დინამიკურია და ჯერაც არ დასრულებულა.

ზინაიდა კურდინიანი

ქართული, როგორც მეორე ენა (რა გამოწვევების წინაშე დგანან სომეხი სტუდენტები ქართული ენის შესწავლისას)

არიზონის უნივერსიტეტის პროფესორი, მურიელ სავილი-ე-ტროიკე აღნიშნავს, რომ მეორე ენის ათვისება გულისხმობს როგორც ინდივიდების ან ჯგუფების მიერ (რომლებიც ადრეულ ბავშვობაში მშობლიური ენის სწავლის მერე სწავლობენ რაიმე ენას) ენის შესწავლას, ისე ამ ენის შესწავლის პროცესსაც. დამატებით ენას მეორე ენა ეწოდება, თუმცა ის შეიძლება იყოს მესამე, მეოთხე ან მეათე. ძალიან ხშირად მას სამიზნე ენასაც უწოდებენ, რაც ნიშნავს ენას, რომლის შესწავლაც არის მიზნად დასახული. ზოგჯერ ჩვენთვის აუცილებელია, ვიცოდეთ ის განსხვავებები, რომლებიც განპირობებულია იმით, თუ რაში ვიყენებთ მეორე ენას ცხოვრებაში. ეს უკანასკნელი ხომ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმაზე, თუ რას ვსწავლობთ. ამ სხვაობებმა შესაძლოა განსაზღვროს, ლექსიკის ცოდნის რომელი

სპეციფიკური სფეროების ცოდნაა საჭირო, მეორე ენის გრამატიკული კომპეტენციის რა დონეს უნდა მივაღწიოთ, რამდენად მნიშვნელოვანია ლაპარაკისა და კითხვის უნარების განვითარება და ა. შ.

ქართული ენა უნიკალური და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობით გამოირჩეული ენაა, რომლის შესწავლაც უცხოელთათვის რიგ გამოწვევებთანაა დაკავშირებული. მოხსენებაში განხილულია ის სირთულეები, რომელთაც სომეხი სტუდენტები აწყდებიან.

გრამატიკულად, ქართული ენა ფლექსიური ელემენტების ნაზავს წარმოადგენს, რაც მოითხოვს რთულ ბრუნვათა და ზმნური ფორმების ათვისებას. ქართულ ზმნას აქვს მრავალფეროვანი სტრუქტურა, რომელიც პირისა და ობიექტის ნიშანს, დროსა და მიმართულებას აერთიანებს, რაც სომხებისთვის ერთ-ერთ ყველაზე რთულ ფაქტორს წარმოადგენს. შედარებისთვის, სომხურ ენაში ნაკლებად რთული ბრუნვათა სისტემა და მარტივი ზმნის სისტემა გვხვდება, რაც მის შესწავლას უფრო აიოლებს. ლექსიკური თვალსაზრისით, ქართულ ენაში მრავლად გვხვდება უნიკალური სიტყვები და რთული სიტყვათნარმოების პროცესები, რაც დამატებით სირთულეს წარმოადგენს სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, ვფიქრობ, საქართველოში არაქართულენოვან გარემოში მცხოვრები პირებისთვის, ამ შემთხვევაში, სომხებისთვის, ენის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა შეზღუდულია, რაც მისი სრულყოფილად შესწავლის პროცესში ერთგვარ დაბრკოლებას წარმოადგენს.

ნინო ნაწიფაშვილი

1978 წლის 14 აპრილი (საბჭოთა ენობრივი პოლიტიკა და საზოგადოებრივი ხედვები)

1978 წელს ქართული სახელმწიფო ენის სტატუსი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. საბჭოთა ხელისუფლების გადანაცვეტილებით, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციაში უნდა შესულიყო ცვლილება, რომლის თანახმადაც, ქართულ ენას რუსული ჩაანაცვლებდა.

ამ პროცესებში მთავარი უნივერსიტეტი იყო. სტუდენტებმა დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება უნივერსიტეტში, ოთხ ეგზემპლარად ჩუმად აწერინებდნენ ხელს. ახალგაზრდებს ლექტორებიც უჭერდნენ მხარს, თუმცა მათ ახსოვდათ 1937 წლის რეპრესიები და ემინოდათ ღიად აზრის დაფიქსირებისა.

მოხსენებაში ვისაუბრებ 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებზე, საზოგადოებრივ ხედვებსა და ენობრივი პოლიტიკის საკითხებზე.

მეგი ჰაპავა

„ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმების ეკვივალენტობის საკითხი პოემის ინგლისურ თარგმანებში

ისტორიულად აფორიზმების ფესვები ძველი ბერძნული და რომაული კულტურებიდან მოდის. ცნობილია, რომ ძველი ბერძენი ფილოსოფოსები (მაგ., სოკრატე, პლატონი, არისტოტელე)

ხშირად იყენებდნენ ლაკონიურ გამონათქვამებს (აფორიზმების ერთგვარ ჩანასახებს), რათა თავიანთი იდეები მოკლედ და ზუსტად გადმოეცათ.

აფორიზმები დღესაც აქტიურად გამოიყენება როგორც წერილობით ტექსტებში, ისე ზეპირმეტყველებაში. თანამედროვე მწერლები, ფილოსოფოსები და საზოგადო მოღვაწეები ხშირად მიმართავენ ამ ჟანრს საკუთარი შეხედულებებისა და იდეების უფრო მკაფიოდ გამოსახატავად. აფორიზმები არა მხოლოდ ენის სიმდიდრისა და აზროვნების სიღრმის გამოვლინებაა, ერის მსოფლხედვის ნაწილია, არამედ ადამიანთა ყოველდღიურობასაც ასახავს. შესაბამისად, მათი საშუალებით შესაძლებელია სამყაროს სხვა კუთხიდან აღქმა.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქართული კულტურისა და იდენტობის განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ძეგლია, მდიდარია აფორიზმებით, რომლებიც ადამიანურ გამოცდილებასა და ცხოვრების წესებს ასახავს. რუსთაველისეული აფორიზმები, რომელთა წყაროც ზოგჯერ ფილოსოფოსთა ნააზრევია, თემატურადაც მრავალფეროვან სურათს აჩვენებს და შეეხება განგების, მეგობრობის, სიყვარულისა და ღირსების საკითხებს, რაც, თავის მხრივ, მკითხველს ეთიკურ-ფილოსოფიური დაფიქრებისკენ უბიძგებს.

პოეტურ ტექსტში აფორიზმებისა და მსგავსი ენობრივი ერთეულების სხვა ენაზე გადატანა განსაკუთრებულ სირთულეებს უკავშირდება, რაც დიდი გამოწვევაა მთარგმნელისთვისაც, რადგან თარგმანში უნდა შენარჩუნდეს არა მხოლოდ სიტყვიერი მნიშვნელობა, არამედ ემოცია, მეტაფორები და რიტმული სტრუქტურა. თარგმნის პროცესში ხშირია დილემა: მაქსიმალური სიზუსტე თუ ინდივიდუალიზმი და მეტი თავისუფლება. ჩვენ

მიერ საანალიზოდ აღებული საკითხი მით უფრო პრობლემური ხდება, რადგან, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, არ არსებობს ცალსახა კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც ნათელი გახდება პოემაში აფორიზმების განსაზღვრისა და დადგენის საკითხები.

შედარებითი კვლევის მეთოდის გამოყენებით მოხსენებაში ვრცლად ვისაუბრებთ „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანებში აფორიზმების სტრუქტურულ და სემანტიკურ თავისებურებებზე, ზემოაღნიშნულთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე.

ნათია სიბაშვილი

ანი ავალიშვილი

ქართული სალიტერატურო ენის წარმოშობა და განვითარება

საკონფერენციო ნაშრომში ვისაუბრებთ ქართულ სალიტერატურო ენაზე, მის წარმოშობასა და განვითარებაზე. პირველ ყოვლისა, განვიხილავთ სალიტერატურო ენის ზოგად განმარტებას: სალიტერატურო ენა არის ენის სტანდარტიზებული ვარიანტი, რომელსაც აქვს განსაზღვრული გრამატიკული, ლექსიკური და მართლწერის წესები. ეს ენა ხშირად ეფუძნება რამდენიმე დიალექტს, თუმცა იგი არ ემთხვევა მათ მთლიანად. სალიტერატურო ენა მჭიდროდაა დაკავშირებული იმ სოციალური ჯგუფის ენასთან, რომელიც ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაწინაურებულია. ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლად ქართლ-კახური დიალექტი უდევს.

მოხსენებაში ვისაუბრებთ ქართულ სალიტერატურო ენაზე, რომლის ფესვებიც ჯერ კიდევ ძველ ქართულში უნდა ვეძიოთ. უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ის ჩამოყალიბდა ბიბლიური და რელიგიური ტექსტების თარგმნის შედეგად. შუა საუკუნეებში ქართული სალიტერატურო ენა მნიშვნელოვნად დაიხვეწა შოთა რუსთაველის გავლენით, რომლის შემოქმედებაც დღესაც წარმოადგენს ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს ღირებულებას. ამ პერიოდში ქართული ენა როგორც საეკლესიო, ისე საერო მწერლობაში აქტიურად გამოიყენებოდა, რაც განაპირობებდა მისი განვითარების აუცილებლობას.

ნაშრომში უნდა ვისაუბროთ XIX საუკუნეზე, რადგან ეს ეპოქა უმნიშვნელოვანესი იყო ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისთვის. სწორედ ამ პერიოდში ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და სხვა მწერლებმა დაიწყეს ენის განვითარება. ამ პროცესში ილიამ განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილა ქართული ენის გამარტივებასა და რეფორმაზე, ამოიღო ხუთი ბგერა, რაც ენის გამარტივებისთვის უმნიშვნელოვანესი იყო.

მოხსენებაში უნდა განვიხილოთ საბჭოთა კავშირისა და რუსული ცენზურის გავლენა ქართულ სალიტერატურო ენაზე. ამ პერიოდში რუსული ენის გავლენის შედეგად ენამ ბევრი რუსული სტილის ელემენტი შეიძინა. რუსული ცენზურა მკაცრად არეგულირებდა ლიტერატურას, რაც აიძულებდა ავტორებს, ნაწარმოებებში მკაცრი სარედაქციო ცვლილებები შეეტანათ. ამის გამო ენის თავისუფლება შეზღუდული იყო.

ჩვენ ასევე უნდა შევხვით ჟარგონებსა და ბარბარიზმებს, რომლებიც იქმნება სხვა ენის გრამატიკული წესების მიხედვით, არღვევს ენის სალიტერატურო ნორმებს. ეს, რა თქმა უნდა, ამახინჯებს სალიტერატურო ენას. აღნიშნული პრობლემა დღესაც

აქტუალურია, რადგანაც ქართული ენა ჟარგონებითა და ბარბარიზმებით ბინძურდება. უნდა ვეცადოთ ამ პრობლემის აღმოფხვრა, რაც მხოლოდ არასალიტერატურო სიტყვების გამოყენების შემცირებითაა შესაძლებელი.

ლამა სულაქველიძე

ბრძოლა ბათუმისთვის: 1921 წლის მარტის მოვლენები

ბრძოლა ბათუმისთვის და მისი დაბრუნება საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია. 1921 წლის 11/12 თებერვალს საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის საქართველოში შემოჭრის შედეგად ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა ყოველდღიურად უარესდებოდა. ამით შეგულიანებულმა ქემალისტებმა სცადეს, საქართველოში არსებული სიტუაცია თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ. მათ დაიკავეს ართვინისა და არტაანის ოლქები, რომლებიც საქართველოს საზღვრებში შედიოდა. მარტის მეორე დეკადაში თურქები შევიდნენ ბათუმის ოლქშიც, ანუ იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც ისინი თავიდან პრეტენზიას არ აცხადებდნენ. 16 მარტს ანგორის ქემალისტურ მთავრობასა და რუსეთის ბოლშევიკურ ხელისუფლებას შორის მოსკოვში დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ ბათუმი საბჭოთა საქართველოს რჩებოდა. თურქებს ამ დღეს ბათუმი არ დაუტოვებიათ. 17 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ემიგრაციაში წავიდა, თუმცა მათ მანამდე გაათავისუფლეს ბათუმის ციხეში მყოფი ბოლშევიკები, რათა შეედგინათ დროებითი მთავრობა, რომელსაც ეს

ოლქი უნდა გაეთავისუფლებინა. მუსა ქიაზიმ, ყარაბეის ხელმძღვანელობით, 20 მარტს ბათუმი იძულებით დატოვა. ამ გამარჯვებას საქართველომ მიაღწია გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით. საისტორიო წყაროებისა და ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე, მოხსენებაში მიმოხილულია ზემოხსენებული მოვლენები.

ნიკოლოზ შათირიშვილი

მარიამ მჭედლიძე

ქართული ავანგარდიზმი „ცისფერყანწელთა“ და „H₂SO₄“-ის მაგალითზე

ნაშრომში განხილულია ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში ორი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ჯგუფის – „ცისფერყანწელთა“ და „H₂SO₄“-ის – მაგალითზე. ავანგარდული მიმართულებებიდან განსაკუთრებით გამოვყოფთ დადაიზმსა და ფუტურიზმს. სიმბოლისტების შემოქმედებაში მკაფიოდ ჩანს ავანგარდისტული ტენდენციები: ეს იქნება პაოლო იაშვილის პირველთქმა, თუ ტიციანის დადაისტური პერიოდის ლექსები და თარგმანები.

იმავდროულად, „H₂SO₄“ იყო ის პირველი ფუტურისტული გაერთიანება ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ქმნიდა ექსპერიმენტულ ლიტერატურას, მანიფესტებსა და სხვადასხვა პუბლიკაციას, რომელთა მიზანი ფუტურისტული იდეოლოგიისა და სტილის განმტკიცება იყო. ნაშრომში განვიხილავთ ნიკოლოზ ჩაჩავას, სიმონ ჩიქოვანის, ბენო გორდეზიანისა და ჟანგო

დოლობერიძის ფუტურისტული ხასიათის ნაშრომებს, რომლებიც ნათლად ასახავს ქართული ფუტურიზმის თავისებურებებს.

კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდოლოგიას და მოიცავს როგორც ქართველი ლიტერატურათმცოდნეების ნაშრომების ანალიზს, ისე უშუალოდ ავანგარდისტი ავტორების ტექსტების განხილვას.

კვლევის მიზანია წარმოაჩინოს, თუ როგორ აისახა ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში და როგორ გარდაქმნა მან ქართული პოეტური სივრცე „ცისფერყანწელთა“ და „H₂SO₄“-ის მაგალითზე. შედეგად, მოხსენება აჩვენებს, რომ ავანგარდიზმმა, მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა, მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართულ ლიტერატურაში, ხოლო ორი განხილული ლიტერატურული გაერთიანება ამის მთავარ მაგალითად გვევლინება.

ია შანთაძე

მარტოობა ედგარ ალან პოს შემოქმედებაში

მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და მისტიკური ამერიკელი მწერალია ედგარ ალან პო. პოს პერსონაჟები ხშირად იტანჯებიან მარტოობით და ეს შემთხვევითი არ არის, რადგან ისინი ავტორის ერთგვარ რეპრეზენტაციას წარმოადგენენ.

პო ხშირად განხილულია, როგორც ერთ-ერთი პირველი საშინელებათა ჟანრის მწერალი, მისი ნოვატორული ხედვა ლიტერატურაში ფასდაუდებელია, თუმცა ხშირად ყურადღების მიღმა რჩება ისეთი საკითხები მისი შემოქმედებიდან, როგორებიცაა იზოლაცია და მარტოობა.

ლიტერატურული ტრადიცია მიგვითითებს, რომ ვიმზიროთ „სინათლისკენ“ და მუდმივად ვეცადოთ, თავი დავაღწიოთ „სიბნელეს“, რომელიც ერთგვარად მარტოობის სინონიმსაც წარმოაგენს.

მოხსენების მიზანია, გავიხსენოთ თოლოგიური, ფილოსოფიური და ლიტერატურული წინაპირობები და გავიაზროთ, რატომ არის მიუღებელი და დამზავრელი მარტოობა საზოგადოებისათვის, როგორ შემოდის ის ედგარ ალან პოს შემოქმედებაში. ასევე მნიშვნელოვანია, რომანტიზებისა და სტიგმის გარეშე გადავაფასოთ მარტოობა, როგორც გარდაუვალი ობიექტური რეალობა.

ლიზა ქავთარაძე

ილია ჭავჭავაძე და ქართული ენის თეორიულ-პრაქტიკული საკითხები

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებში, როცა ილია ჭავჭავაძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა, ქართული სალიტერატურო ენა კიდევ ატარებდა მემკვიდრეობით მიღებულ მძიმე ტვირთს: ერთი მხრივ, „ვაჰ, დრონი, დრონი...“ და, მეორე მხრივ, „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა...“, ერთ მხარეს ე. წ. მამები, და მეორე მხარეს – შვილების თაობა. ილია ჭავჭავაძე შეეცადა დამდგარიყო ეროვნულ სადარაჯოზე ცხოვრების ყველა სფეროში.

მას, ცხადია, გააზრებული ჰქონდა, რომ ენა მხოლოდ მელნით დაწერილი ნიშნები არ არის, ის ერის სული და ძალაა. ამასთან, ენა მუდმივად განახლებადი, განვითარებითი ფენომენია, რომელიც ბუნებრივად მიისწრაფვის გამარტივებისკენ, სიმარ-

ტივისკენ. ამ თვალსაზრისით ილია არამარტო იმ დროისთვის გაბატონებულ ენობრივ სტილს იწუნებდა, არამედ ქართული ანბანიც გაათავისუფლა უკვე დისტინქტურობის არმქონე, ძველი ორთოგრაფიისათვის დამახასიათებელი ნიშნებისგან: ჴ, ჟ, ჳ, ჴ, ჴ. ახალ, სახალხო ენასთან მიახლოებულ სალიტერატურო ენას მათი ხმარება მხოლოდ ამძიმებდა, ხელს უშლიდა, რომ ფართო მასებისათვის ადვილად გასაგები და მარჯვედ მოსახმარი ყოფილიყო.

მოხსენებაში ვრცლად ვისაუბრებ ილია ჭავჭავაძეზე, როგორც ქართული ორთოგრაფიის რეფორმატორზე, განვიხილავ მის წვლილს ქართული ენის თეორიულ-პრაქტიკული საკითხების ჩამოყალიბებაში და მოკლე დებულებათა სახით ჩამოვყალიბებ მის აზრს ენის არქაიზაციისა თუ ორთოგრაფიის შესახებ.

თეონა ქარჩავა

ალბერ კამიუს „ბედნიერი სიკვდილი“ – მთავარი ფილოსოფიური ასპექტები

ალბერ კამიუ ყველასთვის კარგად ცნობილი, მსოფლიოში აღიარებული მოაზროვნეა, რომელმაც ძალიან დიდი გავლენა იქონია თანამედროვე მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. მისი რომანი „უცხო“ გახდა ეპოქალური ნაშრომი XX საუკუნისთვის. კამიუს ეკუთვნის ტექსტები: „შავი ჭირი“, „დაცემა“, „სიზიფეს მითი“ და სხვა უამრავი.

რომანი „ბედნიერი სიკვდილი“ ორი ნაწილისგან შედგება: „ბუნებრივი სიკვდილი“ და „გაცნობიერებული სიკვდილი“. თი-

თეულ ნაწილში აღწერილია მთავარი მოქმედი გმირის, მერსოს, ურთიერთობა ზაგროსთან და მისი ცხოვრება იმ გადამწყვეტი მომენტის შემდგომ. გმირისა და სიუჟეტის განვითარებასთან ერთად, რომანში ვეცნობით კამიუს ფილოსოფიურ შეხედულებებს მორალის, ეთიკის, გმირის ხატის, ადამიანური ბედნიერებისა და სიკვდილის შესახებ. ნაწარმოებში ნათლად არის დახატული რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანები ფულს, დროს, ჯანსაღ და სრულყოფილ სხეულს, რამდენად ასოცირდება ყოველივე ეს ბედნიერებასთან.

პროტაგონისტი იწყებს ბედნიერების ძიებას, ცდილობს აღმოაჩინოს, აქვს თუ არა ცხოვრებას რეალურად რაიმე აზრი და შეიძლება თუ არა ადამიანმა ოდესმე ხელთ იგდოს ბედნიერება. თავად ბედნიერების ცნებას ეთიკის, მეტაფიზიკის სფეროში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მასზე საუბრობდნენ ჯერ კიდევ პლატონი და არისტოტელე, როდესაც ცდილობდნენ ეთიკური ქცევის აზრი და დანიშნულება აეხსნათ. ბედნიერების მოპოვება იყო მიზანი მორალური ქმედებისა. მაგრამ შეიძლება თუ არა, ადამიანი, რომელსაც დაკარგული აქვს მსგავსი ობიექტური ღირებულებების აღქმის უნარი, ეზიაროს ადამიანურ ბედნიერებას?

მერსო ხდება საყვარელი, მკვლელი, მეუღლე, მეგობარი, გლეხი, მეთევზე, ავადმყოფი და ბოლოს მომაკვდავი და მაინც, მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში არ ასვენებს ფიქრი ბედნიერების მოპოვებისა და ცხოვრებით ტკბობის შესახებ. მისი განდეგილობა თუ სტუდენტებთან ერთად თანაცხოვრება, ამპარტავნება თუ სიყვარულის უარყოფა, ყოველი მისი გადამწყვეტილება ემსახურება ერთ მიზანს, მოიპოვოს ბედნიერება, ნათლად დაინახოს ზღვარი სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის, ეძიოს მათი მნიშვნელობა.

ნინო ქვარაია

თამარ გაბრავა

რეალისტი მწერლების როლი ქართული ენის განვითარებაში

საკონფერენციო თემა ეხება რეალისტი მწერლების გავლენას ქართული ენის ფორმირებასა და განვითარებაში. რეალიზმის ლიტერატურული მიმდინარეობა განსაკუთრებულ როლს ასრულებდა ქართული ენის ჩამოყალიბებაში. XIX-XX საუკუნეების ქართველი რეალისტი მწერლები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ნიკო ლორთქიფანიძე და სხვ. არა მხოლოდ ასახავდნენ დროის სოციალურ და კულტურულ რეალობას, არამედ აფართოებდნენ და ამდიდრებდნენ ქართულ ენას. მათმა ნაწარმოებებმა განამტკიცა ენობრივი ნორმები, დააახლოვა სალიტერატურო და სასაუბრო ენა და ჩამოაყალიბა ახალი ტერმინოლოგია. რეალისტებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს ხალხურ მეტყველებას, დიალექტურ ელემენტებს, რაც ქართულ ენას მეტი ბუნებრიობითა და სიმდიდრით ავსებდა.

საკონფერენციო მოხსენებაში განხილული იქნება: რეალიზმის წარმოშობა და განვითარების ეტაპები საქართველოში, რეალისტი მწერლების გავლენა ქართული ენის განვითარებაზე, პუბლიცისტიკა და ენის ნორმების ჩამოყალიბება, რეალიზმის გავლენა თანამედროვე ქართულ ენაზე. ამ საკონფერენციო მოხსენების მიზანია, გამოიკვლიოს რეალისტების როლი ენის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში ქართული ენის გადარჩენასა და მოდერნიზაციაში.

დიმიტრი ღონლაძე

**ქართლის მეფე ლუარსაბ I-ის იმერეთის
მეფე ბაგრატ III-ის ასულ თამარზე ქორწინების
პოლიტიკური ასპექტები**

ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები ტრადიციულად ქორწინდებოდნენ მეზობელ სახელმწიფოთა სამეფო ოჯახების წარმომადგენლებზე. ასეთი ქორწინებანი დიდ როლს ასრულებდა სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებაში. ამიტომაც მტრულად განწყობილი სამეფოები, რომლებიც წლების განმავლობაში უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, მშვიდობას დინასტიური ქორწინებებით ამყარებდნენ. ასეთ დამოყვრებას პოლიტიკური საფუძვლები ჰქონდა.

ერთიანი საქართველოს სამ სამეფოდ დაშლის (1490 წ.) შემდეგ ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის ხშირი იყო სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება. თუმცა ზოგჯერ ქართველი მეფე-მთავარნი საერთო მტრების წინააღმდეგ ერთობლივად მოქმედებდნენ. სამეფო ოჯახების დაახლოებისათვის დინასტიური ქორწინებანი ხდებოდა. ამ სამეფოთა ტახტის მემკვიდრენი ქორწინდებოდნენ სხვა ქართული სამეფოების ბატონიშვილზე ან გავლენიან თავადთა ასულებზე. ანუ ქართველ მონარქებს მეტწილად უკვე ქართველი ცოლები ჰყავდათ.

XVI საუკუნეში რთულია მოიძებნოს ორი ქართველი მონარქი, რომლებსაც იმაზე კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, ვიდრე ქართლის მეფე ლუარსაბ I-სა და იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს. მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი საქართველო აღარ არსებობდა, ისინი საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივად იბრძოდ-

ნენ. ასეთი სიახლოვე გარკვეულწილად განპირობებული იყო შიდადინასტიური ქორწინებით. მის უკან იდგა პოლიტიკური ინტერესები, რომლებიც ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი იყო. ლუარსაბის ქორწინების საკითხი ქართლის პოლიტიკურმა მდგომარეობამ განსაზღვრა. ამან კი გავლენა იქონია არა მხოლოდ ქართლზე, არამედ იმერეთის სამეფოზე, სამცხე-საათაბაგოსა და თვით სპარსეთსა და ოსმალეთზეც.

მოპოვებული წყაროებისა და ლიტერატურის შესწავლის შედეგად მოხსენებაში წარმოდგენილია ლუარსაბ I-ის ქორწინების მიზეზშედეგობრივი საკითხები, ქორწინების პოლიტიკური ნაშთები და ამის შემდგომ განვითარებული მოვლენები.

ლიკა ყაფლანიშვილი

ილონა კირაკოსიანი

მასწავლებლის როლი ინგლისური ენის გაკვეთილის დაგეგმვისა და მოსწავლეთა მოტივაციის პროცესში. საქართველოს კონტექსტი

ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს მასწავლებლის როლი ინგლისური ენის გაკვეთილის დაგეგმვისა და მოსწავლეთა მოტივაციის პროცესში. საკითხის აქტუალობას განსაზღვრავს, ერთი მხრივ, ინგლისური ენის შესწავლის მზარდი მოთხოვნა როგორც გლობალურად, ისე საქართველოს მასშტაბით, ხოლო, მეორე მხრივ, ჯენ ზის, რომელიც ახალი თაობის მოსწავლეთა აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს, ინტერესები და თავისებურებები, რომლებიც გავლენას ახდენს მათ აკადემიურ

წარმატებაზე. მოხსენების ფარგლებში შესწავლილია ის აქტივობები, რომლებიც გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში უნდა გაითვალისწინოს პედაგოგმა, კერძოდ: ნათელი მიზნების დასახვა გაკვეთილის თითოეული კომპონენტისთვის, სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული და, ასევე, კლასგარეშე აქტივობების ჩართვა სასწავლო პროცესში და მოსწავლეთა წარმატების შეფასება. გამოკვლეულია მოსწავლეთა მოტივაციის მიზნით გამოყენებული ისეთი აქტივობები, როგორებიცაა: მოსწავლეთა საჭიროებისა და ინტერესების და გაკვეთილის კონტენტის ერთმანეთთან დაკავშირება, პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა, უკუკავშირის სხვადასხვა სახის მიწოდება მოსწავლეებისათვის, მოსწავლეთა ჩართვა გაკვეთილის ორგანიზების პროცესში და ა. შ. ნაშრომის თეორიული ჩარჩო ეყრდნობა თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებებს. კვლევის ფარგლებში ჩატარებულია მასწავლებელთა და მოსწავლეთა ჩაღრმავებული ინტერვიუები, რომელთა შედეგები გაანალიზებულია და წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციების სახით მასწავლებლებისათვის.

ნიკოლოზ ძიმისტარიშვილი

გიორგი I-ის ბრძოლა დავით კურაპალატის მემკვიდრეობისათვის

1001 წელს, დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, ბასილი კეისარი დაიკავეს დავით III-ის სამფლობელოებს. ალ-სანიშნავია, რომ ამ ტერიტორიების დაუფლებისათვის იბრძვის ქართველთა მეფე გურგენი (სავარაუდოდ, მან დაიკავა კიდეც სამხრეთ ტაოს მცირე ნაწილი მაინც).

ნიშანდობრივია, რომ დავით კურაპალატის მემკვიდრეობისათვის ბრძოლა უფრო აქტიურ ფაზაში შევიდა გიორგი I-ის დროს. ფაქტია, რომ ის საერთაშორისო არენაზე მოქმედებს ახლად გაერთიანებული საქართველოს სუვერენიტეტის დასაცავად. ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობები დაცულია, „მატეანე ქართლისაის“, სუმბატ დავითის-ძის, იაჰია ანტიოქელის, გიორგი კედრენეს, არისტარკეს ლასტივერტეცისა და ვარდან არეველცის თხზულებებში.

აღსანიშნავია, რომ გიორგის გამეფებისთანავე ერთიან საქართველოს ჩამოშორდება კახეთ-ჰერეთი, მიუხედავად ამისა, ისინი უნდა დახმარებოდნენ მეფე გიორგის ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნიშანდობრივია ისიც, რომ ამ პერიოდში ბასილი კეისარი იბრძვის ბულგარელების წინააღმდეგ. მეტიც, ბიზანტია მოიცვა ხშირმა აჯანყებებმა (არაა გამორცხული, რომ შეთქმულებს კავშირი ჰქონოდათ გიორგი მეფესთან). გარდა ამისა, გიორგი I აქტიურად ერევა ანისის სამეფოს საშინაო საქმეებში, რაც ნიშნავს იმას, რომ ის ბიზანტილებს ეცილება არა მარტო დავით კურაპალატის სამფლობელოებს, არამედ სურს, ამიერ კავკასიის რეგიონში ჰეგემონობა. აღსანიშნავია, რომ გიორგი I ანტიბიზანტიურ კოალიციას ქმნის ეგვიპტის სულთან ალ-ჰაქიმთან და სომხურ სამეფო-სამთავროებთან. აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლამ მოიცვა ფართო მასშტაბები. ფაქტია, მათ შეეძლოთ წარმატების მიღწევა, თუმცაღა ბულგარელების დამარცხების შემდეგ ბასილი II მოახერხებს ამ კავშირის დაშლას და სწორედ ეს უნდა იყოს ერთ-ერთი მიზეზი ამ დაპირისპირებაში საქართველოს დამარცხებისა.

მოხსენების მიზანია, შევაჯეროთ ისტორიულ წყაროებში მოცემული ინფორმაციები, გავაანალიზოთ ისინი და, გარდა

ამისა, განვიხილოთ ზემოაღნიშნული საკითხი მიზეზშედეგობრივი თვალსაზრისით.

გვანცა ძმანაშვილი

მარტვილობის ჟანრის ჩასახვისა და განვითარების ტენდენციები

ჰაგიოგრაფია წამებულითა განვლილ გზას შეისწავლის. მისი მიზანი მარტვილთა ყოფის ისტორიისა და რელიგიური პიროვნების კულტის შექმნა და გავრცელება იყო, რათა თემს, სახელმწიფოს რწმენა განმტკიცებოდა. სწორედ ამიტომ, ბევრ ჰაგიოგრაფიულ წყაროში ვაწყდებით სასწაულების, თავდადების, ბოროტთან ბრძოლის ისტორიას.

მნიშვნელობა ენიჭება ჰაგიოგრაფიის კვლევასა და მის ჟანრობრივ გამორკვევას ადრეული ეპოქიდანვე, „მონამეთა აქტების“ პერიოდიდან, რომლის თანაფარდიც ქართულ მწერლობაში კიმენური რედაქციაა, ხოლო შემდეგ კი მის საფუძველზე იქმნება სვინაქსარული, მეტაფრასული რედაქციები.

კიმენური ტექსტები მონამეთა ცხოვრებას ლაკონიურად ასახავს (მისი დატვირთვიდან, მიზნიდან და მრავალი სხვა მიზეზიდან გამომდინარე), მეტაფრასი კი ამავე ჟანრის გავრცობილი ტექსტია. იგი მიზნად ისახავდა მარტივი თხრობის შევსებას, გამთელებას. გარდა ამისა, ვრცელი ნაშრომი ხელს უწყობდა ლიტერატურული ტენდენციების ინტეგრირებას ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში.

მოხსენებაში ვისაუბრებთ ჰაგიოგრაფიის წარმოშობისა და განვითარების ეტაპებზე, ქართული ჰაგიოგრაფიის ტენდენციებზე.

ქრისტიანე ხობელია

განდეგილობის ფენომენი „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“: ასკეტიზმი და სულიერი სრულყოფილება

ქრისტიანობაში ასკეტიზმი ცხოვრების სტილია, რომელიც ემყარება თავშეკავებას, ხორციელ სიამოვნებებზე უარის თქმას და სულიერი სრულყოფის მიღწევას მარხვის, ლოცვის, მორჩილებისა და სხვა სულიერი თუ ფიზიკური პრაქტიკების მეშვეობით. ასკეტიზმი უძველესი დორიდანაა ცნობილი, როგორც ამქვეყნიური ცხოვრებისგან განდგომა და ღმერთთან მიახლოების საშუალება. მისი მთავარი იდეა ისაა, რომ ხორციელი სურვილებისა და მატერიალური სამყაროს ცდუნებების დაძლევით ადამიანი სულიერად იზრდება და ემსგავსება ქრისტეს. ქართული მონაზვნობის ჩამოყალიბებისა და განვითარების თვალსაზრისით საინტერესოა გიორგი მერჩულეს თხზულება „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასთან დაკავშირებული ასკეტიზმი, განდეგილობის ფენომენი და მისი სულიერი სრულყოფილება საქართველოსა და ქრისტიანული სამყაროსთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მისი ცხოვრება არა მარტო ბერ-მონაზვნებისათვის იყო მაგალითი, არამედ საერო პირებისთვისაც, „წმინდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ საერო პირთა სულიერი ამაღლების მაგალითებსაც, რაც არქიმანდრიტ გრიგოლის სულიერი მოღვაწეობის დამსახურებაა, მის სამწყსოში მყოფ სასულიერო პირთა მოქმედების მაგალითების გამოძახილია.

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ქეთევან ქურდოვანიძე
ნინო ვაჩიშვილი
მარიამ ებრალიძე

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>